სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04168

ქ. თბილისი 9 მარტი 2018

**სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 დეკემბრის №1828 დადგენილებასა და სტუ-ის ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 მარტის №3 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულებაში და II თავის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შედგება ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თითო წარმომადგენლის, სტუდენტური თვითმმართველობის ერთი წარმომადგენლისა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის ერთი წარმომადგენლისგან (დეპარტამენტის უფროსი ან მოადგილე);
2. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 დეკემბრის №1828 დადგენილებაში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დამტკიცდეს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
   - დავით გორგიძე – სამშენებლო ფაკულტეტი, პროფესორი;

- ნოდარ ქევხიშვილი – ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი, პროფესორი;
- გელა მაჩაიძე – სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი, პროფესორი;
- დენიტა ბიბილეიშვილი – ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი, პროფესორი;
- ნათია ბუთხუზი – სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, პროფესორი;
- თამარ ჩუბინიძე – არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი, ასისტენტ-პროფესორი;
- ზურაბ კვეტენაძე – სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი, პროფესორი;
- ნინო ფაილოძე – ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი, პროფესორი;
- თინათინ სინჯიაშვილი – საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროფესორი;
- მიხეილ რამაზაშვილი – ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, ასოცირებული პროფესორი;
- გოჩა მიქიაშვილი – დიზაინის საერთაშორისო სკოლა, პროფესორი;
- ვასილ ღლიღვაშვილი – აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი, პროფესორი;
- რატი გურგენიძე – სტუდენტური თვითმმართველობა;
- ნინო მუშკუდიანი –ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ნინო ხოლუაშვილი– სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი (კონსულტანტი).

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**